ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N2022-35

07 აპრილი, 2022 წ.

ერთი მხრივ, ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობა (შემდგომში ,,შემსყიდველი''), წარმოდგენილი, მუნიციპალიტეტის გამგებლის ოთარ ცოტნიაშვილის სახით და მეორე მხრივ, სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა (შემდგომში ,,მიმწოდებელი'') წარმოდგენილი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი ემინაშვილის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანომდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის თანახმად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.5. „მომსახურება“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.6. „მსმენელი“ - პირი, რომელიც სწავლობს ტრენინგ კურსზე.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანი: სატრენინგო მომსახურება - ,,სამოქალაქო შენობების ინფრასტრუქტურული პროექტების მართვა''-ის კურსი.

2.1.1. მომსახურების პირობები და მსმენელთა ჩამონათვალი მოცემულია დანართი N1-ში.

2.2. კლასიფიკატორის კოდი: CPV80500000;

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება: **1588 (ათას ხუთას ოთხმოცდარვა)** ლარი.

3.2. მომსახურების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე, წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდვლისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. **მიმწოდებელი** ვალდებულია უზრუნველყოს:

4.1.1. მსმენელი სასწავლო პროგრამის თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი განათლებისა და უნარ-ჩვევების მიღების შესაძლებლობით;

4.1.2. სატრენინგო მომსახურება უნდა განხორციელდეს დისტანციურად;

4.1.3. ტრენინგ კურსის სპეციფიკით გათვალისწინებული შესაბამისი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის გაცემა.

4.2. **შემსყიდველი** ვალდებულია:

4.2.1. სასწავლო პროცესის დასასრულს უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების 3.1. პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების სრულად ანაზღაურება, მათ შორის იმ შემთხვევაშიც, თუ მიმწოდებლისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მსმენელი ვერ დაასრულებს სწავლების პროცესს;

4.2.2. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა: 2022 წლის 18 აპრილის ჩათვლით პერიოდში;

5.1.1 განრიგი: ტრენინგის ჩატარებისთვის, მიმწოდებლის მიერ, უნდა მოხდეს კონკრეტული განრიგის შემუშავება და შემსყიდველთან შეთანხმება.

5.2. მიწოდების პირობები:

5.2.1 მიწოდების ადგილი: დისტანციურად, ონლაინ პლატფორმების გამოყენებით;

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1.1. მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა ხელმოწერით.

6.1.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს, შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

6.1.3. მიმწოდებლის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან შესყიდვების სპეციალისტი - ირაკლი პაპავა.

7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

7.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას განახორციელოს 3.1. პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების ღირებულების სრული გადახდა, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნული გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ასეთ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.2 პუნქტით გათვალისწინებული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველ დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ასეთ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

9.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მოსთხოვოს მხარეს ზიანის (პირგასამტეხლოს გათვალისწინებით) ანაზღაურება.

9.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებები შესრულებისგან.

9.5. ამ მუხლის მიზნებისთვის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობად არ განიხილება ისეთი შემთხვევები, როდესაც მიმწოდებლისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, შემსყიდველი არ დაესწრება სასწავლო პროგრამას, ვერ დააკმაყოფილებს სასწავლო პროგრამის მოთხოვნებსა და ვერ მიიღებს შესაბამისი სასწავლო პროგრამის გავლის დამადასტურებელ სერტიფიკატს.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. დავების გადაწყვეტა

11.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი დავა წყდება შეთანხმების გზით.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, მიმართოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისგან.

12.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს, მიწოდების ვადის ამოწურვიდან 30 კალენდარული დღე.

14. ფორს-მაჟორი

14.1. ამ მუხლის მიზნებისთვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდვლის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით.

14.2. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების ან მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

15. ინტერესთა კონფლიქტი

15.1. "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერნი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	*მიმწოდებელი*
ერედვის მუნიციპალიტეტი საიდენტიფიკაციო კოდი: 218065055 მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. N89/24 საბანკო რეკვიზიტები: მომსახურე ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: TRESGE22 ანგარიშის ნომერი: GE24NB0330100200165022 ტელეფონის ნომერი: 599 083 222	სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა საიდენტიფიკაციო ნომერი 212852055 ქუთაისი, ნიკეას ქუჩა, 13. ტელ. 431 23 26 00. ელ-ფოსტა: zspa@zspa.ge მომსახურე ბანკი: სახელმწიფო ხაზინა მომსახურე ბანკის კოდი: TRESGE22 ანგარიშის ნომერი: 7 0769 7119
მუნიციპალიტეტის გამგებელი: ოთარ ცოტნიაშვილი	დირექტორის მ.შ: გიორგი ემინაშვილი

Eredvi Municipality

Digitally signed by Eredvi Municipality
Date: 2022.04.08 13:06:58 +04'00'

ტრენინგის სახელწოდება: „სამოქალაქო შენობების ინფრასტრუქტურული პროექტების მართვა"

სწავლების ენა: ქართული

მიწოდების ადგილი: დისტანციურად, ონლაინ პლატფორმების გამოყენებით;

სწავლება-სწავლის მეთოდიკა /აქტივობების ტიპები:
პრეზენტაცია; შემთხვევის ანალიზი; ახსნა - განმარტება; გონებრივი იერიში (Brainstorming); პრაქტიკული მუშაობა; როლური და სიტუაციური თამაში; გუნდური მუშაობა.

პროგრამის ხანგრძლივობა: 17 საათი (15 საათი და 30 წუთი - ტრენინგი; 1 საათი და 30 წუთი - გამოცდა.).

საგნების საათობრივი გადანაწილება:

საგნის დასახელება	საათობრივი გადანაწილება	პროგრამის სრული ხანგრძლივობა
1. მშენებლობის ზედამხედველობის სამსახურის გარდაუვალი აუცილებლობა; ტექნიკური ზედამხედველისათვის აუცილებელი ცოდნა და უნარ-ჩვევები;	2 საათი	17 საათი: 15 საათი და 30 წუთი - ტრენინგი; 1 საათი და 30 წუთი - გამოცდა.
2. შესრულებული და შესასრულებელი სამუშაოების მოცულობების დადგენისა და დეფექტური აქტის მომზადების ძირითადი მეთოდები;	3 საათი და 15 წუთი	
3. შესრულებული სამუშაოების ფორმა №2-ის, ფორმა №3-ის გარჩევა, საამშენებლო აქტის ტიპები და კონტროლის მექანიზმები;	3 საათი და 15 წუთი	
4. პროექტში ცვლილებების შეტანის სამართლებრივი პრინცები;	1 საათი	
5. საჯარიმო სანქციების სამართლებრივი ფორმები;	1 საათი	
6. სამშენებლო ტექნოლოგიების, სამუშაოთა მოცულობების და ხარისხის, პროექტთან და მოქმედ ნორმატიულ-ტექნიკურ დოკუმენტაციასთან, შესაბამისობის კონტროლი;	2 საათი	
შესრულებული სამუშაოების აღრიცხვა/კონტროლის მექანიზმები.	3 საათი	

პროგრამის შინაარსი:
სამოქალაქო შენობების ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის სწავლების მიზანია, მსმენელმა შეძლოს მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, აიმაღლოს კვალიფიკაცია სამოქალაქო შენობების ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვის, მართვისა და ტექნიკური ზედამხედველობის კუთხით, ასევე განივითაროს შესაბამისი უნარ-ჩვევები, შეძლოს საქართველოში მოქმედი ნორმებითა სხვადასხვა საერთაშორისო რეგულაციების დაცვით, აღრიცხვოს შესრულებული სამუშაოების ზუსტი მოცულობები და მიიღოს მაღალი ხარისხის თანამედროვე სამოქალაქო ტიპის შენობები.

კურსის ღირებულება: 397 ლარი (ერთი მსმენელი)

მსმენელთა ჩამონათვალი:
1. ტარიელ მიდოდაშვილი - ეკონომიკური განვითარების,სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახური, უფროსი, პ.ნ 59002005076;
2. გოჩა ვაზაგაშვილი - ეკონომიკური განვითარების,სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახური, ინფრასტრუქტურული განვითარებისა და ინსპექტირების განყოფილების უფროსი, პ.ნ 59002006908;
3. გიორგი ვახტანგაშვილი - ეკონომიკური განვითარების,სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახური, III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, პ.ნ - 59002007331;
4. თენგიზ ცოტნიაშვილი - ქსუისის ტერიტორიული ორგანო, ხელმძღვანელი, პ.ნ 59003002493;

შემსყიდველი: **მიმწოდებელი:**

მუნიციპალიტეტის გამგებელი: ოთარ ცოტნიაშვილი დირექტორის მ/შ: გიორგი ემინაშვილი